ბრძანება:**ბ76. 76240468**
თარიღი:**15/02/2024**

საქართველო, ქალაქი ამბროლაური

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იჯარის

მიზნით პირობებიანი ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 119-ე მუხლის მე-2 პუნქტის; საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“–ს მე-5 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იჯარის მიზნით პირობებიანი ელექტრონული აუქციონი შემდეგ ქონებაზე:

1.1. ქალაქ ამბროლაურში მახალდიანის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს/კ 86.19.21.320-ის ნაწილი 100 კვ.მ.

1.1.1. საიჯარო ობიექტის საწყისი საიჯარო წლიური საფასური - 600 ლარი (ექვსასი) ლარი, ბე საწყისი საპრივატიზაციო საფასურის 50 %- (300 (სამასი), ბიჯი საწყისი საპრივატიზაციო საფასურის 5% - 30 (ოცდაათი) ლარი.

1.1.2. ელექტრონული აუქციონის პირობები:

1.1.2.1. ა. საიჯარო ქირა გადაიხადოს სახელშეკრულებო წლის ბოლოს, არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა; ბ. უზრუნველყოს ტერიტორიის

დასუფთავება და მოვლა-შენახვა. გ. შეასრულოს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული რეკომენდაციები და მოთხოვნები.

1.1.2.2. იჯარის ხანგძლივობა განისაზღვროს 5(ხუთი) წლით.

1.1.3. ელექტრონული აუქციონის დაწყების თარიღი – 2024 წლის 19 თებერვალი 11:00 საათი; დასრულების თარიღი – 2024 წლის 29 თებერვალი 11:00 საათი.

2. ელექტრონული აუქციონის პროცედურები განხორციელდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ელექტრონული აუქციონის პორტალ **www.eauction.ge-ს** მეშვეობით.

3. დაევალოს, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის, ქონების მართვის განყოფილებას აუქციონის შესახებ განაცხადის განთავსება ვებ-გვერდზე **www.eauction.ge.**

4. წინამდებარე ბრძანება და აუქციონის ჩატარების შესახებ ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნდეს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე **www.ambrolauri. gov.ge.**

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (ქ.ამბროლაური კოსტავას ქ. №13).

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზვიადი მხეიძე

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია-
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი